

“რა ნიანგები აგვიტყდა, რატომ ვიტყუებთ თავს?”

გაზეთი “ყველა სიახლე” – 9-15 სექტემბერი, № 36, 2010

სამ წელიწადში ტურისტების რაოდენობა საქართველოს მოსახლეობას გადააჭარბებს – აცხადებს ჩვენი პრეზიდენტი და მთავრობაც კვერს უკრავს. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ხუთი წლის შემდეგ საქართველოს 10 მილიონამდე ტურისტი ესტუმრება. ერთი სიტყვით, ჩვენი სამშობლოს „ტურისტულ მექად“ გადაქცევის იდეა ერსაც და ბერსაც ერთნაირად აწუხებს.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა ამ პერსპექტივას საეჭვოდ მიიჩნევს და ხელისუფლების მოლოდინს გადააჭარბებულს უწოდებს. გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ ლადოსთან:

– თავისთავად, ტურიზმის განვითარება სულაც არ არის ქვეყნისათვის ცუდი იმიტომ, რომ მას ძალიან დიდი შემოსავალი მოაქვს, მაგრამ მოდით ვიყოთ რეალისტები. არა მგონია ის პარამეტრები, რომელსაც ხელისუფლება ასახელებს, რეალური იყოს. ნუ დაგვაუიწყდება, რომ ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და საომარი რიტორიკა დღესაც გრძელდება, მოსკოვი დაუფარავად ლანძღავს სააკაშვილს, ხოლო საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს, რომ წაგებულია ბრძოლა და არა ომი. ასეთ პირობებში ვეჭვობ, რომ ტურისტების შემოსვლამ ასეთი მასშტაბური ხასიათი მიიღოს. შევხედოთ გეოგრაფიასაც: ვინ ისვენებს დღეს საქართველოში? – ძირითადად აქ ჩამოდიან ჩვენი მეზობელი სომხები. მათ რა თქმა უნდა, თურქეთში ჩასვლის პრობლემა არა აქვთ, მაგრამ იქ წასვლას მაინც ერიდებიან, ამიტომაც ისწარფვიან ქართული კურორტებისაკენ. ჩამოდიან აზერბაიჯანელებიც, მაგრამ მათ თურქეთში ურჩევნიათ წასვლა. თვით ქართველ ტურისტებსაც, ვისაც შემოსავალი მეტნაკლებად აქვს, ურჩევნიათ თურქეთში დაისვენონ, რადგან იქ სერვისის დონე ბევრად მაღალია. კიდევ ერთი მომენტი: არ შეიძლება ჩავიციკლოთ ერთ რომელიმე დარგზე. ეს ქვეყნისთვის არ იქნება კარგი. ჩვენ ტურიზმიც გვჭირდება და სხვა დარგებიც. მით უმეტეს, რომ საკმაოდ პერსპექტივები გვაქვს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის, არამედ კვების მრეწველობის განვითარებისთვისაც. კიდევ ერთი რამ: საერთოდ არ ლაპარაკობენ ისეთ ფენომენზე, რომელიც მსოფლიოში „ახალი ეკონომიკის“ სახელითაა ცნობილი. „ახალი ეკონომიკა“ ეს არის ინოვაციებზე დაფუძნებული

თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებსაც შეუძლიათ ძალიან დიდი შემოსავლის მოტანა ქვეყნისათვის. საქართველოს ჯერ კიდევ აქვს საამისო პოტენციალი, გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომლებიც სამწუხაროდ საზღვარგარეთ საქმიანობენ და არა საქართველოში. მართალია, ტურიზმი კარგია, მაგრამ ის არ შეიძლება გახდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საყრდენი და მიზანი.

– ბატონო ლადო, უკვე ცნობილია, რომ ჩვენი მეზობელი სომხები აქ დასასვენებლად ჩამოდიან და მიწებსაც ყიდულობენ. შავიზღვისპირეთში თანდათან მატულობს მათი რიცხვი

– ეს არ არის ახალი დაწყებული პროცესი. ასე იყო კომუნისტების დროსაც, როდესაც ჩვენი მეზობლები ჩამოდიოდნენ, ყიდულობდნენ სახლებს და იწყებდნენ ცხოვრებას აფხაზეთში. ეს როგორ შემოგვიბრუნდა, ყველამ კარგად ვიცით. როდესაც იქ საომარი მოქმედებები დაიწყო, პირველი, ვინც ქართველებს დაუპირისპირდა, იქ ჩასახლებული სომხური მოსახლეობა იყო. ჩვენ ეს ყველაფერი უკვე გავლილი გვაქვს და ცუდია, რომ ისტორია სათანადოდ ვერ გვასწავლის ჭკუას. მართალია სომხების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ისტორიული გაკვეთილების გათვალისწინება აუცილებელია ყველა ერისათვის, მით უმეტეს, თუ ეს ისტორიული ფაქტი არც თუ ისე დიდი ხნის წინ იყო.

– ძალიან დიდი ხმაური გამოიწვია ბაყაყების ექსპორტის თემამ. თქვენ როგორ შეაფასებდით ამგვარი, ეგზოტიკური ბიზნესის განვითარების პერსპექტივას ჩვენს ქვეყანაში?

– როდესაც გამოდის სოფლის მეურნეობის მინისტრი და ლაპარაკობს ბაყაყების ექსპორტზე, ან ზუგდიდის რაიონში ნიანგების ფერმის გახსნაზე, ეს მე მგონი უფრო კომედიური ქანრის სფეროა, ვიდრე სერიოზული განსჯის საგანი. აუცილებლად უცხოელი უნდა ჩამოვიდეს და შეგვახსენოს ქართული ფუტკრისა და თაფლის ღირსებები? ქართული ფუტკარი და თაფლი ამ დარგის სპეციალისტების მიერ შეფასებულია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მთელ მსოფლიოში. სახელმწიფო კი დუმს. იგივე შეიძლება ითქვას მეაბრეშუმეობაზე, რომელიც საერთოდ ჩამკვდარია. ამ დროს ვლაპარაკობთ ბაყაყებზე, რაც არაადეკვატურია და საზოგადოებასაც აღიზიანებს. ჩემი აზრით, მინისტრი ასეთ საკითხებზე თუ არ ილაპარაკებს, უკეთესი იქნება. მეცხოველეობას მივხედოთ, სამეგრელოში ისტორიულად იყო ეს დარგი განვითარებული, რა ნიანგები აგვიტყდა, რატომ ვიტყუებთ თავს? იმიტომ კი არა, რომ მე ბაყაყების, ან ნიანგების ფერმის წინააღმდეგი ვარ. თუ ვიღაცას უნდა მსგავსი ბიზნესით

წარმატებას მიაღწიოს, ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს მინისტრის ყურადღების საგანი.

– ბატონო ლადო, ძალიან გაიზარდა საკვები პროდუქტის ფასი. რით შეიძლება ავსხნათ ეს?

– ძირითადი მიზეზი ხორბლის გაძვირებაა, რაც გამოიწვია მთელ მსოფლიოში და რუსეთში ხანძრების გავრცელებამ.

– რატომღაც ჩვენ ეს გვიხარია

– ასეთ დროს სიხარული პრიმიტივიზმია. ამ ხანძრებს ჩვეულებრივი ადამიანები ემსხვერპლნენ და მათი უბედურება ბედნიერებას ვერ მოგვიტანს. როდესაც რუსეთის შავმიწანიადაგიან რაიონებში ხანძარია, ეს აზარალებს ხორბლის ყანებსაც. ბუნებრივია, ამ ვითარებაში თვითონ შეექმნათ ხორბლის პრობლემა და მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხორბალი აღარ გაიტანონ რუსეთიდან. ხორბლის ბაზარზე ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი გამოითიშა, რის გამოც ხორბლის მიწოდება შემცირდა და ფასები გაიზარდა. როდესაც რუსეთში ხანძარი დაიწყო, ჩვენს ნაციონალურ არსებს ქილიკი კი არ უნდა დაეწყოთ, არამედ ცოტა მეტი ეფიქრათ, რა უნდა გააკეთოს ამ სიტუაციაში ჩვენმა ქვეყანამ. როცა იწვის ტყე, იწვის ყანებიც, სოფლებია გადამწვარი და ხალხი დაღუპული. როდესაც პური ძვირდება, ეს ჯაჭვური რეაქციით გადაეცემა და აძვირებს ყველა სხვა პროდუქტსაც.

– რამდენად გამართლებულია ამ სიტუაციაში მარაგის შექმნა?

– მარაგის შექმნა სახელმწიფოსათვის ძალზე მნიშვნელოვანია. ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰქონდეს რეზერვები. ეს მარტო ხორბალს არ ეხება. საომარი ვითარებისა თუ სხვადასხვა კატაკლიზმების დროს ამგვარი მარაგის არსებობა აუცილებელია. რაც შეეხება ოჯახებს, ცალ-ცალკე ყველა ოჯახმა რომ დაიწყოს პროდუქტის მომარაგება, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს, რადგან კიდევ უფრო გაზრდის მოთხოვნას და კიდევ უფრო გააძვირებს ყველაფერს. ასე რომ, წინასწარ პროდუქტის მომარაგებას არავის ვურჩევ. მარაგი ოჯახში იმდენი უნდა იყოს, რაც საჭირო და აუცილებელია. პროდუქტის შექმნა და დაგროვება ხელოვნურად გაზრდის ბაზარზე ფასებს, რაც არავისთვის სასურველი არ არის.

ხათუნა ჩიგოგიძე